

# “პიარს შარბონის ენაზე “დაბოლება” ჰქვია”

გაზეთი “ალია” – 18-20 ოქტომბერი, № 128, 2008

სანამ ხელისუფლება უცხოური ფინანსური დახმარებების მოხლოდინშია, საზოგადოებაში უკვე ჩნდება ეჭვები, რომ ეს თანხები ამა თუ იმ ჩინოვნიკის ჯიბეებში დაილექება. ამ ეჭვის ლოგიკა კი მარტივია – რაც აქამდე დახმარება ყოფილა, ჩვენ, მოსახლეობას ამით რა ხეირი? ეჭვის საფუძველს იძლევა ისიც, რომ 2009 წლის ბიუჯეტის პროექტში უცხოური დახმარებები საერთოდ არ არის გაწერილი. რაში შეიძლება დაიხარჯოს მილიარდიანი დახმარებები და რა სქემებით შეიძლება აღმოჩნდეს ეს თანხები ჩინოვნიკთა ჯიბეებში?

**„ალიას“ ეკონომიკის ექსპერტი, ლადო პაპავა ესაუბრება:**

– დავიწყოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის 750 მილიონით, ამ თანხის აღრესატი საქართველოს ეროვნული ბანკია, რომელიც სრულად მიდის ეროვნული ბანკის რეზერვებში. ეს თანხა მხოლოდ და მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად დაიხარჯება, ანუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება კონკრეტულად რაიმე მშენებლობაზე, ან სექტორულ პროექტებზე არც არის განკუთვნილი. ამ 750 მილიონიდან წელს საქართველომ მიიღო მხოლოდ 250 მილიონი, დანარჩენი 500 მილიონი გადმოირიცხება ნაწილ-ნაწილ, მომავალი წლიდან. ამერიკის შეერთებული შტატების 1 მილიარდ დოლარიანი დახმარებიდან წელს მხოლოდ 350 მილიონი დოლარი გადმოირიცხება. რაც შეეხება ევროკავშირის დახმარებას, აქ გაუღერდა, რომ სავარაუდოდ, ევროკავშირი საქართველოს გამოუყოფს ნახევარი მილიარდი ევროს დახმარებას, თუმცა ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ყველაფერი მხოლოდ დონორთა კონფერენციის შემდეგ გაირკვევა, რომელიც მომავალ კვირას, ბრიუსელში გაიმართება. ამ კონფერენციაზე გადაწყდება, კონკრეტულად რა თანხას გამოუყოფს ევროკავშირი საქართველოს. რაც შეეხება სხვა დახმარებებს – იქნება ეს მსოფლიო ბანკის, თუ სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტების პროექტები, ისინიც გარკვეული ტრანშებით, ანუ პროპორციებით მოდის.

- ბატონო ლადო, მოსახლეობაში გაჩნდა ეჭვი, რომ თანხების მცირე ნაწილი მოხმარდება რეალურ საქმეს, დანარჩენს კი ჩინოვნიკები მითვისებენო. თავად უცხოელები არ გააკონტროლებენ ამ ფულს?

- ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი წყაროდან ღებულობს ქვეყანა დახმარებას. ის თანხა, რომელიც გამოიყოფა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, სრულად აკუმულირდება ეროვნული ბანკის რეზერვებში და ეროვნული ბანკის ნებისმიერი ოპერაცია, როგორც წესი, დათვლილია, ამის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტითაც ხელმისაწვდომია. თანაც, თვითონ სავალუტო ფონდიც აკონტროლებს ამ თანხების გამოყენებას. დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკულ დახმარებასაც, თვითონ ამერიკელები გააკონტროლებენ.

რაც შეეხება იმ თანხებს, რომლებიც წავა ბიუჯეტში და დაიხარჯება სხვადასხვა მშენებლობებსა და შესყიდვებში, აქ ყოველთვის არსებობდა ეგრეთ წოდებული „ატკატების“ თემა და ეს მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი, ეს ძალიან ბევრ ქვეყანას ახასიათებს, რომლებიც განვითარების მხრივ, ჩვენაირ საფეხურზე იმყოფებიან.

- ბატონო ლადო, არც ასეთ ვერსიას გამორიცხავენ: სააკაშვილის დღეები დათვლილია, მისმა გარემოცვამ შეიძლება უცხოური დახმარებები საკუთარ უცხოურ ანგარიშებზე გადარიცხონ და ქვეყნიდან გაუჩინარდნენო.

- უკვე გითხარით, რომ გადაქაჩავენ საკუთარი ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, მაგრამ ამ მთავრობას იმის შიში ნამდვილად არ აქვს, რომ ვიღაცა მათ ხელისუფლებას ჩამოაშორებს. თუმცა, იმიტომ კი არა, რომ პოპულარულები არიან, არამედ იმიტომ, რომ პირველი – ძალიან დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვთ, მეორე – ვინც საჯაროდ აყენებს ამ ხელისუფლების თუ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლას, ეს მოსკოვია, რაც აღიზიანებს საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილსაც და არავის არ უნდა რუსული სცენარი საქართველოში, მესამე – იმიტომ, რომ არ არსებობს დამოუკიდებელი, ძლიერი ტელევიზია, „იმედი“ უკვე აღარ არის. რაც მთავარია, არ არსებობს ფინანსები, რომელიც ამას ყველაფერს დააფინანსებდა და ოპოზიციაც დაქსაქსულია. ის, რომ ვიღაცას რაღაცა არ მოსწონს, სულაც არ არის იმისთვის საკმარისი, რომ მთავრობამ გარკვეული დისკომფორტი იგრძნოს.

- რეალურად ვერც ერთი უწყებიდან ვერ მივიღეთ ოფიციალური ინფორმაცია, კონკრეტულად რაში დაიხარჯება უცხოური დახმარებების თანხები. ახლა გაგრძელდა ინფორმაცია, რომ დევნილი მოსახლეობის

მხარდაჭერის მიზნით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო „იაფი სესხის“ პროგრამას აამუშავებს, მაგრამ ეს პროგრამაც, ეტყობა, პიარის ნაწილია და საერთოდ, პრეზიდენტის პიარ-პროგრამები ბლუფია და მეტი არაფერი. თქვენი აზრით, რისი გადაფარვა ხდება ასეთი გადაჭარბებული პიარით?

– რეალური პრობლემების გადაფარვა ხდება და სხვათა შორის, პიარს უარგონის ენაზე „დაბოლება“ ქვია. როგორც ჩანს, ხელისუფლებას უნდა, რომ საზოგადოება „დაბოლილი“ იყოს, მაგრამ უსასრულოდ დიდხანსაც ვერ „დააბოლებ“, რადგან ბოლოს და ბოლოს, ხალხი იტყვის, რომ „მეფე შიშველია“, იმასაც მიხვდებიან, რომ ხელისუფლება მათ „აბოლებს“ და სინამდვილეში არც არაფერი ხდება. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: გახსოვთ, ალბათ, რომ სააკაშვილი როგორც საპრეზიდენტო, ისე – საპარლამენტო არჩევნებზე ხალხს დაპირდა, რომ 2009 წელს პენსია უნდა ყოფილიყო 100 დოლარის ექვივალენტი ლარებში. ახლა საუბარია, რომ პენსია კი არ იქნება 100 დოლარი, არამედ – ის სოციალური პაკეტი, რომელსაც პენსიონერები მიიღებენ. ანუ, პენსია სინამდვილეში 100 დოლარზე ბევრად ნაკლები იქნება, მერე მოიგონებენ რაღაც ეფემერულ სოციალურ პაკეტს, რომელსაც რომელიღაცა პენსიონერი მიიღებს, რომელიღაცა – არა. ხომ ხედავთ, რომ ეს დაპირებაც დაპირებად დარჩა, არადა, პიარისთვის ძალიან კარგი თემა იყო. შესაბამისად, ხალხიც „დაბოლდა“ – რა კარგია, რომ პენსია 100 დოლარი გახდებაო და ხელისუფლებამ არჩევნებზე საჭირო ხმებიც მიიღო.

– ბატონო ლადო, ჩვენ ვწერდით, რომ 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი აბსურდების კრებულება, ახლა ირკვევა, რომ მთავარი საფინანსო დოკუმენტი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმაც დაიწუნა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ შეიტანა მთავრობამ ასეთი ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში?

– 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპზე სერიოზულად განსახილველი დოკუმენტი არ არის, რადგან როცა მთავრობამ ეს დოკუმენტი წარმოადგინა, შესანიშნავად იცოდა, რომ უცხოური დახმარებები სრულად გადმორიცხული არ იყო, თან გარკვეული ტიპის დახმარებები მომავალშიც მისაღები გეგმონდა. უკვე გითხარით, რომ ვეროკავშირის დახმარების საკითხი მხოლოდ მომავალ კვირას გაირკვევა. ამიტომ, ეს თანხები ბიუჯეტის პროექტში გაწერილი არ არის, მაგრამ იმავედროულად, მთავრობას კონსტიტუციური შეზღუდვაც ჰქონდა, რადგან მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში უნდა წარედგინა არა უგვიანეს 30 სექტემბრისა.

ამიტომ, მთავრობამ ასე ვთქვათ, დადო ისეთი დოკუმენტი, რომელიც ფორმალურად ასრულებს ბიუჯეტის ფუნქციას. რეალური ბიუჯეტის პროექტს, ანუ რომლის დამტკიცებასაც მთავრობა დააპირებს, დეკემბერში მომზადდება. ამიტომ, 2009 წლის ბიუჯეტის პროექტზე მსჯელობა ახლა მხოლოდ და მხოლოდ დროის ფუჭი ხარჯვაა, რადგან მთავრობამაც კარგად იცის, რომ ეს რეალური ბიუჯეტი არ არის. კიდევ ერთი, ახლა დგას საკითხი, რომ მთავრობა უნდა შეიცვალოს, მე კი არ ვთვლი, რომ ამით ეკონომიკური პოლიტიკა შეიცვლება, მაგრამ ახალი პრემიერ-მინისტრი რომ მოვა, ის ლადო გურგენიძის პროექტს მიიღებს? რასაკვირველია, ის ბიუჯეტის ახალ პროექტს მოამზადებს, როგორც თავის დროზე გურგენიძემ შეცვალა ნოღაიდელის პროექტი.

**– ბატონო ლადო, თქვენ რომ დაგიძახონ და გთხოვონ, რომ ბიუჯეტის პროექტი შეადგინეთ, უპირველეს ყოვლისა, რას გაითვალისწინებდით, როგორ დაგეგმავდით ბიუჯეტს?**

– დავიწყეთ იმით, რომ არავინ დამიძახებს და რომც დამიძახონ, საკითხავია, ვარ თუ არა მიმსვლელი, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტი თვისობრივად სულ სხვაგვარად უნდა შედგეს. პირველ რიგში, ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია უნდა შეიცვალოს, ვირტუალური ბიუჯეტიდან რეალურ ბიუჯეტზე უნდა გადავიდეთ. ვირტუალურს იმიტომ ვუწოდებ, რომ ჩვენმა პარლამენტმა ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღო ისეთი ცვლილებები საბიუჯეტო მოწყობის შესახებ კანონში, სადაც ჩაიწერა, რომ ბიუჯეტი აუცილებლად პროფიციტული უნდა იყოს. პროფიციტს არასწორი განმარტება აქვს და ამიტომ ეს ყველაფერი არის ვირტუალური და არა რეალური. პირველი, რასაც დავაყენებდი და რასაც ახლაც ვითხოვ, რა მნიშვნელობა აქვს, ჩემი შესადგენია, თუ არა, ბიუჯეტის შედგენის სწორი მეთოდოლოგია უნდა გვქონდეს და არა ის, რომ სინამდვილეში დეფიციტს ზრდიან და ბიუჯეტი მაინც პროფიციტული რჩება. მივიღებდი გარკვეულ ცვლილებას საგადასახადო კანონმდებლობაში, საშემოსავლო გადასახადს 25%-დან დავაბრუნებდი 12%-ზე და არა ისე, როგორც ახლა უნდა მოხდეს, აღვადგენდი სოციალურ გადასახადს და ამისთვისაც დავაწესებდი 12%-ს. რაც შეეხება ხარჯებს, პირველ რიგში, ხარჯებს ავაგებდი იქიდან გამომდინარე, კონკრეტულად რა დახმარება მოდის და რა მიზნებით. თუ დავუშვათ, დახმარება მოდის სახლების მშენებლობაზე და ეს თანხა მართლაც საკმარისია, ბიუჯეტიდან ამაზე უკვე თანხებს აღარ წარვმართავდი,

გადავისვრიდი სხვა მიმართულებით. მეტ ყურადღებას მივაქცევდი განათლებასა და მეცნიერებას. ასე, თუ ისე, განათლებაზე ხარჯები გაწერილია, მაგრამ მეცნიერება პრაქტიკულად, ჩაკლულია. რა თქმა უნდა, ვიფიქრებდი ჯანდაცვის საკითხებზეც, აქაც ხომ სერიოზული გადახრები გვაქვს, არა? არაფერს ვამბობ იმ დევნილებზე, რომლებიც პრიორიტეტად რჩება და რომლებსაც გამოსაზამთრებელიც აქვთ, მაგრამ ზამთრის მერეც მისახედები არიან. ისეთი გულუბრყვილოებიც ნუ ვიქნებით, რომ გამოვაზამთრებთ დევნილებს და მერე მათ საშუალება ექნებათ, რომ სახლებში დაბრუნდნენ.

– ხალხში ეჭვი იმიტომაც ხომ არ ჩნდება, რომ ბიუჯეტის მუდმივი ზრდის და უამრავი უცხოური დახმარების ფონზე, დღემდე არავითარი ხეირი არ უგრძობნიათ, ანუ რიგით მოქალაქეს ამით არაფერი შემატებია...

– მოდით, მაინც ოპტიმისტები ვიყოთ, მე კი სულ ვაკრიტიკებ ამ მთავრობას, მაგრამ ახლა მაინც ვიქონიოთ იმედი, რომ თუ პოლიტიკა არ შეიცვლება, ცოტა მეტი გამჭვირვალობა და ცოტა მეტი პასუხისმგებლობაც იქნება. ხომ თქვა ჩვენმა პრეზიდენტმა, რომ დემოკრატიის ახალი ტალღააო, იქნებ, დაამტკიცონ, რომ მართლაც ახალი ტალღა იქნება. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, დიას, ბატონო, ეს ხალხი იგრძნობს „ხეირს“ და ეს იქნება ინფლაცია. აქამდეც გრძნობდნენ, მაგრამ ახლა კიდევ უფრო მაგრად იგრძნობენ. ინფლაცია და ფასების ზრდა ისეთი რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

**მაია მიშელაძე**